გენდერული ბიუჯეტის ასპექტები

შესავალი	2
1. ოზურგეთი და ჩოხატაური	6
2. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	15
3. თბილისი	28
4. თბილისის, თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მოსახლეობის გამოკითხვა ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერულ საკითხებზე	38
დასკვნები და რეკომენდაციები	51

გენდერული ბიუჯეტის ასპექტები

შესავალი

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი გულისხმობს გენდერული ასპექტების ძირითადი მიმართულებების გამოყოფას საბიუჯეტო ციკლის ყველა ეტაპზე. იგი უკავშირდება ბიუჯეტის ფორმირების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების, მონიტორინგის და ანალიზის პროცესებს, ასევე ბიუჯეტების აუდიტთან გენდერულად მგრძნობიარე კუთხით. იგი მოიცავს დანახარჯების ანალიზს, რომელიც გაწეულია ქალებზე და გოგოებზე, მამაკაცებსა და ბიჭებზე გაწეული დანახარჯების შედარებით მათ წინაშე არსებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. ვინაიდან ბიუჯეტები გენდერული კუთხით ნეიტრალური არ არის, განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებსა და კაცებზე. გენდერული ბიუჯეტები წარმოაჩენს რესურსების არათანაბარი გადანაწილების ნაკლოვანებებს და ხელს უწყობს ბიუჯეტის გარდაქმნას ინსტრუმენტად, რაც ამცირებს გენდერულ დისპროპორციებს.

ბიუჯეტის ანალიზი გენდერული კუთხით ხელს უწყობს ეფექტიანობის ზრდას საზოგადოებაში რესურსების უკეთ განაწილების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონის ზრდის მეშვეობით. დღესდღეობით გენდერული ბიუჯეტი ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის შემადგენელ ნაწილს, ეფექტიანობის ზრდისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის მეშვეობით. გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის დანერგვა ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობის ზრდას საბიუჯეტო პროცესებში, რაც, საბოლოო ჯამში, ფინანსური პოლიტიკის დახვეწასა და განვითარებაში აისახება. დღესდღეობით სულ უფრო მეტი ქვეყანა მსოფლიოში ნერგავს ბიუჯეტის გენდერული კუთხით ანალიზის მექანიზმებს სხვადასხვა დონეზე.

მუნიციპალურ დონეზე არსებული სოციალური პრობლემებისა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის აუცილებლობა განპირობებულია ადგილობრივ დონეზე სამართლიანობისა და საბიუჯეტო პოლიტიკის დახვეწის მიზნებიდან გამომდინარე. მუნიციპალიტეტებში არსებული საბიუჯეტო პროცესები აუცილებლად საჭიროებს გენდერული ანალიზის ელემენტების დანერგვას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის სტრუქტურულ სრულყოფას, ქალებისა და კაცების პრიორიტეტების დაფინანსების სამართლიანობის სრულყოფის გზით. ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა დასაქმება, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დახმარებები და სხვ. აუცილებლად საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული კონკრეტული ცვლილებების შემუშავებას უახლოესი მომავლისათვის.

კარგად რომ ჩავწვდეთ რა არის გენდერული თანასწორობა და ზოგადად გენდერის სოციალური სამართლიანობის მნიშვნელობა, აუცილებელია, ამ მიმართულებით განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასა და საბიუჯეტო პროცესებთან მიმართებაში ზოგადად მიღებულ სტანდარტებზე ვისაუბრებთ.

1979 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია. იგი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ძალაში შევიდა 1981 წლის 3 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მეოცე ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება, კონვენციის მეათე წლისთავისათვის, რაც 1989 წელს აღინიშნა, თითქმის ასმა სახელმწიფომ გამოხატა თანხმობა დაეცვათ მისი დებულებები.

კონვენციის შემუშავება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოს, ქალთა მდგომარეობს კომისიის 30-წლიანზე მეტი ხნის მუშაობის კულმინაციური მომენტია. ეს ორგანო დაარსდა 1946 წელს იმ მიზნით, რომ თვალყური ედევნებინა ქალთა მდგომარეობისთვის და ხელი შეეწყო ქალთა უფლებების განვითარებისთვის. კომისიის საქმიანობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ სფეროს გამოსავლენად, რაშიც ქალები მოკლებულნი არიან მამაკაცის თანაბარ უფლებებს. ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული მისი ძალისხმევის შედეგად მიღებულია მთელი რიგი დეკლარაციები და კონვენციები, მ.შ. ცენტრალური და ყოვლისმომ-

ცველია კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.

2005 წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „საქართველოს პრიორიტეტები ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისათვის“, რითიც ნათლად გამოკვეთა ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ვექტორი, რაც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას გულისხმობს. სწორედ აღნიშნული დემოკრატიული განვითარების ვექტორებმა მწვავედ დააყენა გენდერული თანასწორობის საკითხები ქართულ პოლიტიკაში.

გენდერული ბიუჯეტი წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში გენდერული საკითხებისადმი კომპლექსურ მიდგომას. რაც წარმოადგენს ბიუჯეტის შეფასებას გენდერულ ჭრილში, ასევე საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე გენდერული ასპექტების გათვალისწინებას, შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურირებას გენდერული თანასწორობის განვითარების მიზნით.

ეკონომიკური შეფასების მიზნით ტერმინი „ფასეულობა“ წარმოადგენს ტერმინის „საბაზრო ფასი“-ს სინონიმს. ამან გამოიწვია ანაზღაურებადი (პროდუქტიული) და არაანაზღაურებადი (რეპროდუქტიული) შრომის შეხედულებების გაყოფა. არაანაზღაურებადი შრომას ან მოღვაწეობას არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან საოჯახო მეურნეობაში დახარჯული შრომა შეუფასებელი რჩება სახელმწიფო შეფასების სისტემებში. აღნიშნულის შედეგად, მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის შეფასებისას წარმოიშვება ცდომილება, არაანაზღაურებადად მშრომელ ადამიანებს არ ითვალისწინებენ შეფასებაში.

არაანაზღაურებად შრომას, ძირითადად, ქალები ეწევიან, ეს იქნება ბავშვების აღზრდა, მოხუცებისა და უმწეოთა მოვლა, საჭმლის მომზადება, სახლის დასუფთავება თუ სხვა საოჯახო საქმიანობა; აქედან გამომდინარე, არაანაზღაურებადი შრომა წარმოადგენს სქესის პრობლემას, რადგანაც ქალის შრომის დიდი ნაწილი არ აისახება სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშებში. ამის გამო, წარმოიშვება მცდარი შეხედულება იმის შესახებ, რომ ქალები არიან ეკონომიკურად არა აქტიურები, ან ქალისა და მამაკაცის ეკონომიკური აქტიურობა არათანაზომიერია (მაგრამ ქალები ეწევიან დაახლოებით ნახევარ პროდუქტიულ და დიდ წილ რეპროდუქტიულ შრომას).

დამეთანხმებით, ქართულ რეალობაში ქალები უფრო მეტად ეწევიან არაანაზღაურებად შრომას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც, გენდერულ ასპექტში საბიუჯეტო პროცესების განხილვა ახალი მიდგომაა, მაგრამ აღნიშნულ ქვეყნებში ამ მიმართულებით უკვე არსებობს კარგი გამოცდილება, მაგალითად:

- *საფრანგეთი* - 2000 წლიდან მთავრობის საბიუჯეტო მოთხოვნის ყოველწლიურ დოკუმენტთან ერთად წარადგენს ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს, რომელიც ნათლად მიუთითებს ყოველი სამინისტროსა და დეპარტამენტის მიმართულებებს გენდერული თანასწორობის თაობაზე.
- *დიდი ბრიტანეთის* მიდგომა ეფუძნება პარტნიორობის პრინციპს, მოიცავს არა მხოლოდ დეპარტამენტების დონეზე გენდერულ თანასწორობას. მთავრობა რეგულარულად აწარმოებს თათბირებს „ქალთა ბიუჯეტის“ სამუშაო ჯგუფთან, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომისტი მეცნიერი ქალი“. ფინანსთა სამინისტრო დანახარჯების ანგარიშგების დროს ავალებს ყველა სამთავრობო დაწესებულებას სახელმწიფო ფინანსების გავლენის ეფექტის შეფასებას ქალსა და მამაკაცზე. შოტლანდიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო ვალდებულებად გენდერული თანასწორობის ინტეგრაცია ბიუჯეტის შედგენის პროცესში და ახორციელებს კვლევებს მიზანშეწონილობის მხრივ.
- *შვედეთმა* პირველად 2002 წელს შეიმუშავა გენდერული ბიუჯეტი, რომლის გრძელვადიანი მიზანია ბიუჯეტის შედგენის პროცესში გახადოს თვალნათელი გენდერული ასპექტები.
- ნორვეგიის ყველა სამინისტრო ცდილობს თანდათანობით გენდერული ბიუჯეტი გააერთიანოს ერთიან პროექტში.

გენდერული ბიუჯეტი - ეს ახალი მიდგომაა იმისათვის, რომ საფინანსო და საბიუჯეტო პოლიტიკური პროცესები ავითარებდნენ გენდერულ თანასწორობას. ამასთან ერთად, სპეციალურად გამოყოფილი ხარჯები, რაც გავლენას ახდენს ქალის მდგომარეობაზე, მამაკაცთან მიმართებაში და მათზე ყურადღების გამახვილება შესაძლოა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას უწყობდეს ხელს, იმისათვის რომ გაცილებით უკეთ იქნას გათვალისწინებული ქალისა და მამაკაცის მოთხოვნები და ინტერესები.

1 ოზურგეთი და ჩოხატაური

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

დიაგრამა 1.1
მუნიციპალიტეტში დასაქმებული
თანამშრომლები სქესობრივ ჭრილში

2006 წელს თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში ქალების რაოდენობა შეადგენს 13%-ს. ანალოგიური მაჩვენებელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 14%-ია. მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მეტია 2002 წლის საქართველოს საერთო მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ უტოლდება 1998 წლის მაჩვენებელს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 226 თანამშრომელთა შორის მხოლოდ 33%-ია ქალი, შესაბამისად, მამაკაცების წილი 67%-ია. რაც შეეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს - 157 თანამშრომელთა შორის მხოლოდ 30%-ია ქალი, შესაბამისად, მამაკაცების წილია 70%.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შევეცდებით, გავაანალიზოთ სარგებელი, რომელიც ოზურგეთის მუნიცი-

პალიტეტის ბიუჯეტს მოაქვს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და მამაკაცებისათვის.

ადგილობრივი შემოსავლების ანალიზი გენდერული კუთხით

ქალისა და მამაკაცის ეკონომიური აქტიურობის შესახებ სტატისტიკური შესწავლა დღესდღეობით სახელმწიფო დონეზე არ მიმდინარეობს, ყოველ შემთხვევაში მსგავსი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და ანგარიშგების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული მიდგომები არ უწყობს ხელს ბიუჯეტების შემოსავლების გენდერული კუთხით ანალიზს. ევროპული მიდგომისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შემოსავლების დაყოფას გადამხდელების სქესობრივი ნიშნის მიხედვით. აქედან გამომდინარე, დღეისათვის შეუძლებელია ზუსტად შეფასდეს რომელი სქესის წარმომადგენლებია ეკონომიკურად აქტიური.

ოზურგეთის ბიუჯეტის შემოსულობების 64%-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული ტრანსფერი შეადგენს, ჩოხატაურის შემთხვევაში კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული ტრანსფერი ბიუჯეტის შემოსულობების 66%-ს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხაში იმის იდენტიფიცირება, თუ რომელი სქესის წარმომადგენელთა თანხა დომინირებს, შეუძლებელია, რადგანაც გრანტი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. გადასახადების კუთხით შემოსავლები, ძირითადად, საწარმოთა ქონების გადასახადიდან შემოსავლებს განსაზღვრავს. დღევანდელი სტატისტიკური ინფორმაციის პირობებში მსჯელობა იმაზე, თუ რომელი სქესის წარმომადგენლის საწარმო იხდის მეტს, შეუძლებელია. დიაგრამაზე მოცემულია 2010 წლის ოზურგეთის ბიუჯეტის მონაცემები:

დიაგრამა 1.2

2010 წლის შემოსავლები



ბიუჯეტის „სხვა შემოსავლების მუხლი“, ძირითადად, მამაკაცების მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე ივსება. შემოსავლების ეს სახე შედგება: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის, მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისთვის, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, ჯარიმები, სანქციები და საურავები, რომელთა გადამხდელები, პროფესიული თვალსაზრისით, მამაკაცები არიან.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ანალიზი გენდერულ ჭრილში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა, ფუნქციური კლასიფიკაციის მიხედვით, შემდეგნაირია: განათლება - ამ მუხლით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება სკოლამდელი დაწესებულებები, ითვლება რომ სფეროში დასაქმებულია ძირითადად ქალები. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის საერთო მოცულობის 12%, რომელიც აღნიშნულ სფეროზე იხარჯება, წარმოადგენს ინვესტიციას მდედრობითი სქესის მოსახლეობაში. გარდა ამისა საბავშვო ბაღები ხელს უწყობენ ქალების, როგორც შრომითი რესურსის თვითრეალიზებას. საბავშვო ბაღების მეშვეობით ქალებს საშუალება

აქვთ განთავისუფლდნენ არაანაზღაურებადი შრომიდან, იგულისხმება სახლში ბავშვების მოვლა, და ჩაერთონ პროდუქტიულ შრომაში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სკოლამდელი განათლების ხარჯებს 100%-ით აფინანსებს, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობა განთავისუფლებულია საბავშვო ბაღებში გადასახადის ტვირთისაგან. აღნიშნულ ქმედებას ორმაგი ეფექტი აქვს, ერთი, რომ ქალები გამოთავისუფლდებიან არაანაზღაურებადი შრომიდან და შესაძლებლობა მიეცემათ გადაინაცვლონ ანაზღაურებად სექტორში, ხოლო მეორე, ამ კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

რაც შეეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურას ფუნქციური კლასიფიკაციის მიხედვით იგი შემდეგნაირია: განათლება — ბიუჯეტის საერთო მოცულობის 13%, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი სკოლამდელი განათლების ხარჯებს თანადაფინანსების სახით აფინანსებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას, გარკვეულ წილად, აწევს საბავშვო ბაღებში გადასახადის ტვირთი, ამასთან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ყველა ტერიტორიულ ერთეულში არ არის საბავშვო ბაღები. აქედან გამომდინარე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ყველა ბენეფიციარს საშუალება არ აქვს მიიღოს ბიუჯეტიდან თანაბარი სარგებელი.

მუხლი - სპორტი და კულტურა ოზურგეთის ბიუჯეტის ხარჯების 16%-ს შეადგენს, სადაც თანაფარდობა შემდეგია: სპორტზე იხარჯება 63%, ხოლო კულტურაზე მხოლოდ 37%. ჩოხატაურში კი მსგავსი ხარჯი 15%-ს შეადგენს, სადაც თანაფარდობა შემდეგი სახითაა: სპორტზე იხარჯება 40%, ხოლო კულტურაზე კი 57%. კულტურა წარმოდგენილია, ძირითადად, ბიბლიოთეკებით, კულტურის სახლითა და მუზეუმით. აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი წილი ქალები არიან.

კულტურის საწინააღმდეგო მდგომარეობაა სპორტში ჟ ინვესტირების კუთხით, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ. შეფასებიდან ნათლად ჩანს, რომ „სპორტი და კულტურის“ მუხლიდან ოზურგეთში გამოყოფილი დანახარჯების დაახლოებით 70% (57% ჩოხატაურში) მიმართულია მამაკაცების მომსახურების ანაზღაურებაზე.

ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის, პოლიციის და თავდაცვის ღონისძიებების საბიუჯეტო მუხლები, ძირითადად, ძლიერი სქესის პროფესიებს წარმოადგენს და, შესაბამისად, გაწეული დანახარჯები მამაკაცების მომსახურების ანაზღაურებას ხმარდება.

ჯანდაცვის სფეროს განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც გენდერული და სოციალური თანასწორობის მიღწევის, ასევე სიღარიბის შემცირების თვალსაზრისითაც. საქართველოში სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, ძირითადად, ოჯახებს დააწვა ტვირთად. ცნობილია, რომ რაც უფრო დაბალია სახელმწიფო ხარჯი ჯანდაცვაზე, მით უფრო მაღალია შინამეურნეობების დანახარჯები, კერძოდ, ქალის აუნაზღაურებელი შრომის წილი - ოჯახის წევრების მოვლა-პატრონობაში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ჯანდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ჩოხატაურის შემთხვევაში კი ბოლო ორი წლის მაჩვენებელი ვერ დაუბრუნდა 2008 წლის მაჩვენებელს.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები
დიაგრამა 1.3



ჯანმრთელობის დაცვა
დიაგრამა 1.4



ჯანდაცვაზე დანახარჯების შემცირება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ოჯახში ქალის ტვირთის ზრდაზე, კერძოდ, მზრუნველობის ფუნქციის გაზრდაზე. ჯანდაცვაზე გამოყოფილი დაფინანსების წილი კი, მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს და ვერ უზრუნველყოფს სექტორში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების წილი ბიუჯეტის ხარჯებთან მიმართებაში

დიაგრამა 1.5

სოციალურ სფეროში ფინანსური სახსრების ნაკლებობა არ იძლევა საშუალებას ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის გასატარებლად. ადგილობრივი ხელისუფლება, ძირითადად, ახორციელებს პასიურ სოციალურ პოლიტიკას, რაც შემოიფარგლება ფულადი დახმარებების გაცემით და განკუთვნილია შრომისუნარიანობის დაკარგვისა და შემოსავლებში დანაკარგების კომპენსირების ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა ავადმყოფობა, უმუშევრობა, მოხუცებულობა, ბავშვის დაბადება და ა.შ.

ერთჯერადი დახმარებები ოზურგეთსა და ჩოხატაურში

ერთჯერადი დახმარებები
დიაგრამა 1.6



ერთჯერადი დახმარებები
დიაგრამა 1.7



პასიური სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია ერთჯერადი დახმარება, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში პერმანენტულად განიცდის კლებას და მიმდინარე წელს ოზურგეთში მხოლოდ 45 000 ლარით შემოიფარგლება (96 100 ლარი ჩოხატაურში).

მატერიალური დახმარება შვილის
დაბადებისას დიაგრამა 1.8



პოზიტიური ცვლილებაა შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების კუთხით, რომლის მიმღები, რა თქმა უნდა, ქალები არიან. მაგრამ, ამას აქვს დროებითი ხასიათი და ის შემოიფარგლება ლოკალურად მცირე პერიოდით. ღონისძიება გრძელვადიანი ეფექტის

მატარებელ პროგრამას არ წარმოადგენს და, შესაბამისად, არც სოციალური მდგომარეობის გრძელვადიანი გაუმჯობესების მასტიმულირებელია.

სოციალური პოლიტიკის სუსტმა მიდგომებმა მოახდინა მოსახლეობის აქტივიზაცია შინამეურნეობებში თვითგადარჩენის მიზნით. ამ სფეროში განსაკუთრებით გაიზარდა ქალების და, ნაწილობრივ, ბავშვების შრომის როლი; ამას გარდა, შრომით მიგრაციაში ყოფნამ ხელი შეუშალა საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, შობადობის ზრდას.

აღიარებულია, რომ სიღარიბის გამომწვევი მიზეზებია:

- სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ნაკლებობა და მისი დაბალი ეფექტიანობა;
- ფერმერების განათლების დაბალი დონე;
- სოციალური დახმარებების არამიზნობრივი სტრატეგია, ინფლაციისა და კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა.

2007 წლამდე სახელმწიფო უზრუნველყოფდა რამდენიმე სოციალური პროგრამის დაფინანსებას: უმუშევართა შემწეობას, პროფესიულ მომზადებას და გადამზადებას, უმუშევართა დროებით დასაქმებას და უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალურ დახმარებას, მის მონიტორინგსა და ანალიზს. 2007-2010 წლებში ფუნქციური კოდით 7105 „უმუშევართა სოციალური დაცვა“ - ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან არც ერთი თეთრი არ დახარჯულა. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლებაც არ ფიქრობს უმუშევართა სტიმულირებაზე. სწორედ ამ მუხლიდან გამოყოფილი ფინანსები დიდი ალბათობით მიმართული იქნებოდა არაანაზღაურებადი შრომის სექტორში დასაქმებულ ადამიანებზე, კერძოდ, ქალებზე, რაც შესაძლებლობას მისცემდა რეპროდუქტიული შრომა პროდუქტიულ შრომად ექციათ.

უთანასწორობა გამოიხატება ლტოლვილთა დახმარებებშიც, რაც უნიფიცირებულია და არ არის დიფერენცირებული ოჯახების მატერიალური მდგომარეობის მიხედვით. ლტოლვილთა დახმარებები არ არის ორიენტირებული იმაზე, რომ ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები გამოსულიყვნენ სიღარიბის არეალიდან. იგი უფრო მეტად იღებს პოლიტიკური რენტის სახეს იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ აღადგინა ამ ტერიტორიაზე თავისი იურისდიქცია. აღნიშნული

მუხლით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2010 წელს გამოყოფილია 15 000 ლარი, რაც 47%-ით შემცირდა 2008 წელთან შედარებით.

ანგარიშგება

საბიუჯეტო კოდექსის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია განახორციელოს ანგარიშგება, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, ასევე საჯაროდ გამოაქვეყნოს ბიუჯეტის კვარტალური თუ წლიური შესრულების შესახებ დოკუმენტი. დოკუმენტი თავისი შინაარსით სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, როგორც მდედრობითი სქესის, ასევე მამრობითი სქესის მოსახლეობას. როგორც ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე მის ანგარიშგებაში არ არის ასახული შემოსავლებისა თუ დანახარჯების დანაწილება გენდერულ ჭრილში. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია სფეროში გაუთვითცნობიერებელმა მოქალაქემ შეაფასოს და საკმარისი ინფორმაცია მიიღოს მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტიდან. გარდა ამისა, დოკუმენტის შინაარსის არასრულყოფილება და მისდამი ზერელე დამოკიდებულება საზოგადოების შეურაცხმყოფელია. საზოგადოების მიერ არჩეული ხელისუფლება ვალდებულია, მოსახლეობას მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, თუ როგორ და რაში დახარჯა მოქალაქეების მიერ გადახდილი გადასახადები.

2 თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი

თელავის, ლაგოდეხის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების 2010 წლის ბიუჯეტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტები ნაკლებად ორიენტირებულია გრძელვადიანი სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, შესაბამისად, არავინ იცის თუ რა სურათი გვექნება (ორი-სამი წლის შემდეგ) საბიუჯეტო რესურსების დახარჯვის შემდეგ ამ მიმართულებებით. მუნიციპალური ხარჯები მიმართულია მხოლოდ მოკლევადიანი (1-წლიანი) ამოცანების გადაწყვეტაზე (ზოგადად, ესეთი მიდგომა არა მხოლოდ გენდერის კუთხით, არამედ სხვა მიმართულებებშიც შეინიშნება).

დინამიკაში ხარჯების ასეთი მიდგომით შეფასება მუნიციპალური ბიუჯეტით გაწეული ხარჯებით გადაჭრილი ამოცანების (როგორია სოციალური გარემო, როგორ შეიცვალა სოციალური ფენების ცხოვრების პირობები) და ამ მიმართულებით შესაცვლელი მიდგომების გარკვევის საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, მუნიციპალურ დონეზე აღნიშნული ხედვები ჯერ კიდევ დასანერგია.

შემოსულობები

მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, ასევე გამოთანაბრებითი ტრანსფერი და კანონით განსაზღვრული სხვა შემოსულობები. არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერი და კანონით განსაზღვრული სხვა შემოსულობები.

სამწუხაროდ, მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი გენდერულ ჭრილში საკმაოდ რთულია (ამ მიმართულებით ადგილობრივ ხელისუფლებას ნაკლებად შესწევს ძალა, რადგან მუნიციპალური ბიუჯეტების შემოსავლების დიდი ნაწილი ტრანსფერებზე მოდის), ვინაიდან იქნება ეს მოსაკრებელი, თუ ადგილობრივი

გადასახადი, სტატისტიკური მონაცემები გადამხდელების სქესის მიხედვით არ არსებობს. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივ გადასახადებს მხოლოდ ქონების გადასახადი განეკუთვნება. ქონების გადასახადში შემავალი კატეგორიების მიხედვით გადამხდელების გენდერულ ჭრილში ანალიზი საკმაოდ რთულია არსებული ინფორმაციის პირობებში. რაიმე სახის შეღავათები გენდერულ ჭრილში ამ გადასახადის მხრივ გათვალისწინებული კოდექსით არ არის.

საკუთარ შემოსულობებში შედის გამოთანაბრებითი ტრანსფერიც, რაც გამოითვლება ფორმულის მეშვეობით. აღნიშნული ფორმულით ხარჯების გამოთვლა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატისტიკური მაჩვენებელი (მოსახლეობის რაოდენობა, 0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა, ფართობი, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით დადგენილი სარეიტინგო ქულა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე).

გამოთანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლისას გენდერული საკითხების გათვალისწინება არ ხდება.

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში
ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ვინაიდან ადგილობრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ქალები თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ.

ამჟამად საქართველოში ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობა მინიმალურია და სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეზე თანასწორობის პოლიტიკა არ ხორციელდება, სწორედ ასეთი მდგომარეობაა ადგილობრივი ხელისუფლებების დონეზეც, თელავის მუნიციპალიტეტში 2006 წელს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საკრებულოს წევრების 67% მამაკაცებია და მხოლოდ 33%-ია ქალი. რაც შეეხება თელავის გამგეობას, ამ შემთხვევაში მდგომარეობა შედარებით უკეთესად გამოიყურება ვიდრე დანარჩენ მუნიციპალიტეტებში, ვინაიდან ქალების რაოდენობა მამაკაცებს აღემატება და 53%-ს შეადგენს, შესაბამისად, კაცები გამგეობაში 47%-ს შეად-

გენენ. მთლიანობაში თელავის ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მამაკაცები 54%-ს შეადგენენ, ხოლო ქალები კი, შესაბამისად, 46%-ს.

დიაგრამა №2.1
ქალები და კაცები თელავის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის დონეზე



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა კი შემდეგნაირია: დასაქმებული 146 ადამიანიდან 105 მამაკაცია, ხოლო 41 ქალი. რეალურად შესამჩნევია, სქესობრივი დისბალანსი მამაკაცების სასარგებლოდ, აქ ჩვენ ვსაუბრობთ მუნიციპალიტეტის მართვის რგოლზე (საკრებულო გამგეობა). აღსანიშნავია, რომ ზოგადად პოლიტიკაში და ჩვენ შემთხვევაში ადგილობრივ დონეზე, ქალთა უფლებები ნამდვილად შეზღუდულია, ამ სფეროს რეალური დომინანტები მამაკაცები არიან.

მნიშვნელოვნად არ გასხვავდება ამ კუთხით სიღნაღში არსებული მდგომარეობაც: დასაქმებული 118 ადამიანიდან მხოლოდ 35 ქალია და ისიც შედარებით დაბალ ანაზღაურებად სამუშაოებზე.

აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონის რეგიონული განვითარების 2009-2014 წლების სტრატეგიის დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას კახეთის მუნიციპალიტეტებში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ქალთა თანაბარი ჩართულობა თვითმმართველობის დონეზე სოციალური თანასწორობისა და არსებული სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს.

დიაგრამა №2.1

თელავის 2010 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელები



დიაგრამაზე ნათლად ჩანს, რომ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება თელავის 2010 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში 2079,6 ათას ლარს შეადგენს, რაც მთელი გადასახდელების 23%-ია. ამ მიმართულებით განსაზღვრული თანხები ყოველწლიურად განუხრელად იზრდება და, ამ მხრივ, 2010 წლის ბიუჯეტი ასევე არ აღმოჩნდა გამონაკლისი. წინა წელთან შედარებით, როდესაც მსგავსი სახის გადასახდელები ორ მილიონზე ნაკლები იყო და 1959,8 ათას ლარს შეადგენდა. ამ სახის ადმინისტრაციული ხარჯების მუდმივი ზრდა საკმაოდ არასასურველი ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ, ვინაიდან ქვეყანაში უამრავი მიზეზია, რათა მსგავსი სახის ხარჯი მცირდებოდეს; რომ არაფერი ვთქვათ მთავრობის მიერ გამოცხადებულ „ქამრების შემოჭერის პოლიტიკაზე“ (რაც მუნიციპალურ ბიუჯეტებს რატომღაც საერთოდ არ ეტყობა). ქვეყანაში საკმაოდ მწვავდება კრიზისი და ამ პირობებში მსგავსი სახსრების ზრდა ნამდვილად მიუღებელია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტში უფრო მეტი კაცია დასაქმებული ვიდრე ქალი, ამ კუთხით არსებული ხარჯების მოცულობის ზრდა კი გენდერული ბალანსის დაცვას ხელს არ უნდა უწყობდეს.

დიაგრამა 2.2
ლაგოდეხის 2010 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელები



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ხარჯების პრიორიტეტები დიაგრამაში 2.2 მოცემული სახით ნაწილდება. მუნიციპალური ბიუჯეტით დაგეგმილ ხარჯებში ფიგურირებს მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“ (კაპიტალური პროექტები), ადგილობრივი ბიუჯეტით, საერთო ჯამში, ამ მუხლით დაგეგმილია 533 000 ლარის დახარჯვა. დამეთანხმებით, ამ მიმართულებაზე სოლიდური ფინანსების დახარჯვა იგეგმება, ამიტომაც გენდერულ ასპექტში აღნიშნული სფეროს ანალიზი მნიშვნელოვანია, თუმცა ზემოთ მოყვანილი სფეროების ანალიზი უნდა გაიყოს ორ ნაწილად, აქ იგულისხმება უშუალოდ პროექტებში დასაქმებულთა გენდერული ანალიზი და სამიზნე ჯგუფების (პროექტის უშუალო მომხმარებელთა) ანალიზი.

რაც შეეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯებს, ისინი დიაგრამაში №2.3-შია მოცემული.

დიაგრამა №2.3

სიღნაღის 2010 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელები



განათლებაზე თელავის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილია 864.2 ათასი ლარი. ამ თანხის უმეტესი ნაწილი - 767.8 ათასი ლარი განკუთვნილია სკოლამდელ აღზრდაზე, ანუ ამ მუხლით ფინანსდება საბავშვო ბაღები. ტრადიციულად, ითვლება, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა უმეტესობა ქალები არიან. გარდა ზემოაღნიშნულისა საბავშვო ბაღებზე გამოყოფილი თანხა უდავოდ ხელს უწყობს ქალების გამოთავისუფლებას არაანაზღაურებადი შრომიდან და საშუალებას აძლევს მათ გადაინაცვლონ ანაზღაურებად სექტორში. შესაბამისად, გამოყოფილი თანხის მეშვეობით შესაძლებელია ორმაგი დადებითი ეფექტის მიღება და არსებული რთული სოციალური ფონის გაუმჯობესება.

მართალია, განათლების კუთხით თელავის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი თანხები ბოლო წლების მიხედვით შემცირდა (1338.8 ათასი ლარი 2008 წ. და 1290.7 - 2009 წ.) უშუალოდ სკოლამდელ აღზრდაზე მიმართული თანხები, პირიქით, ბოლო სამი წლის გან-

მავლობაში იზრდება (505.5 — 2008 წ.; 645.8 — 2009 წ. და 767.8 — 2010 წ.), რაც საკმაოდ დადებითი ტენდენციაა წარმოდგენილი საკითხების ჭრილში.

სამწუხაროდ, არსებული ბიუჯეტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის განათლების ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობდა ქალების დასაქმების უზრუნველყოფას და არსებული რთული სოციალური ფონის პირობებში დადებით როლს ითამაშებდა.

დიაგრამა 2.4
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში საგანმანათლებლო ღონისძიებების მუხლით გათვალისწინებული ხარჯები



დიაგრამაში მოცემული ორგანიზაციებიდან ყველაზე დიდი თანხა - 680 000 ლარი, ბაგა-ბაღების დაფინანსებაზეა გათვალისწინებული, აქედან 100 000 ლარით იგეგმება ამორტიზირებული შენობების გარემონტება, ხოლო დანარჩენი თანხა მოხმარდება ხელფასებს და აღსაზრდელების კვებას.

2010 წლის ბიუჯეტის პროექტში საბავშვო ბაღებზე გათვალისწინებული იყო 580 000 ლარი, გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაზრდის შემდეგ, ამ სფეროს დაფინანსებამ მოიმატა და 680 000 ლარი შეადგინა.

მუნიციპალურ დონეზე აღნიშნულ სფეროში, ძირითადად, ქალები არიან დასაქმებული, რაც შეეხება მიწოდებულ სერვისს, შეიძლება ითქვას, რომ აქ სოციალური სამართლიანობის პრინციპები დაცულია.

ამ შემთხვევაში შეგვიძლია შემოვიტანოთ გენდერულ ასპექტში ბიუჯეტების ანალიზის ერთი განზომილება, თუ რამდენად უწყობს ხელს ადგილობრივი ბიუჯეტი დროის ეფექტიან გამოყენებას, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რამდენად არის მუნიციპალური სერვისი მიმართული არანაზღაურებადი სოციალური საქმიანობიდან ანაზღა-

ურებადი საქმიანობისთვის თანაბარი დროის გამოთავისუფლებაზე. აღსანიშნავია, რომ არანაზღაურებად სოციალურ საქმიანობას (დიასახლისობა), ძირითადად, ქალები ეწევიან.

ამასთან შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სფეროები (საგანმანათლებლო ღონისძიებები) ნაკლებად მოიძებნება ადგილობრივ ბიუჯეტებში, რადგან მუნიციპალიტეტში სხვა სფეროებში დასაქმებულთა დიდი ნაწილი მამაკაცები არიან.

სიღნაღის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო საქმიანობებზე დაგეგმილია 718 600 ლარის დახარჯვა, დიაგრამაში 2.5 მოცემულია ხარჯების გადანაწილება სფეროების მიხედვით.

დიაგრამა 2.5
სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში საგანმანათლებლო ღონისძიებების მუხლით გათვალისწინებული ხარჯები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, საბავშვო ბაღების დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 642 800 ლარი, აქედან 490 000 ლარი იხარჯება ხელფასებზე და სხვა საჭირო მასალების (კვება, გათბობა, ა.შ.) შეძენაზე, ხოლო 152 800 ლარით გათვალისწინებულია საბავშვო ბაღების რემონტი.

ბოლო წლებში ამ მიმართულებით მიღებული დადებითი შედეგები სახეზეა, რადგან 2010 წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტებში თითქმის აღარ დარჩება ამორტიზირებული საბავშვო ბაღი და ისინი ელემენტარულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

რაც შეეხება დასვენების, კულტურის და რელიგიის მუხლს - ამ მხრივ თელავის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრებიც 2 მილიონს აღემატება და 2125,3 ათას ლარს შეადგენს (ხარჯების 23%). გასულ 2009 წელთან შეადრებით, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული თანხები მკვეთრად გაიზარდა.

რაც შეეხება მოსახლეობისთვის განსაკუთრებით აქტუალურ სოციალურ სფეროს, მასზე მუნიციპალური ბიუჯეტის შთამბეჭდავი ნაწილი ნამდვილად არ არის გამოყოფილი. დაფინანსება 401,6 ათას ლარს შეადგენს, რაც, არსებული მძიმე სოციალური ფონის პირობებში, საკმარისი ნამდვილად ვერ იქნება.

დიაგრამა №2.6

თელავის მუნიციპალური ბიუჯეტით სოციალურ დაცვაზე განსაზღვრული თანხები 2008-2010 წ.წ.

(ათასი ლარი)



ბიუჯეტით სოციალურ დაცვაზე განსაზღვრული თანხები მოცემულია ამ დიაგრამაზე. სამწუხაროდ, მკვეთრი ზრდა ამ მიმართულებით ნამდვილად არ შეიმჩნევა და თანხების მოცულობა აშკარად ვერ ეხმიანება არსებულ სოციალურ ფონს.

დიაგრამა 2.7
თელავის 2010 წლის მუნიციპალური ბიუჯეტით განსაზღვრული თანხები სოციალურ დაცვაზე



მართალია, მიმდინარე წლის მუნიციპალური ბიუჯეტით სოციალურ დაცვაზე განსაზღვრული თანხების მოცულობა დიდი ნამდვილად არაა, მაგრამ ყურადღებას იმსახურებს მათი სტრუქტურა. ამ კუთხით გამოყოფილი ხარჯები მესამედს ისეთი სახის სოციალური საკითხები შეადგენს, რაც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას.

სამწუხაროდ, ამ კუთხით გამოყოფილი ხარჯების ანალიზისას აშკარად იკვეთება, რომ დიდი ოდენობით თანხები დედებისა და ბავშვების პრიორიტეტებზე სამწუხაროდ, ნამდვილად არ არის გამოყოფილი. მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული პოლიტიკა ამ სფეროში საკმაოდ პასიურ ხასიათს ატარებს.

ლაგოდეხის 2010 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე 378 000 ლარია დამტკიცებული. დიაგრამაში 2.8 მოცემულია აღნიშნულ სფეროში თანხების გადანაწილება.

დიაგრამა 2.8
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში სოციალური დაცვის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებები გათვალისწინებულია 145 000 ლარით. ამ თავში შედის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და ომის ინვალიდების შეშით უზრუნველყოფაზე გათვლილი თანხა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები კი ითვალისწინებს ბევრ ღონისძიებას, რაც თავიდან ააცილებს ადგილობრივ მოსახლეობას ვირუსული და სხვადასხვა ტიპის დაავადების გავრცელებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამსახურის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადი შეიცავს სრულ ინფორმაციას, საბიუჯეტო წლის განმავლობაში მათ მიერ დაგეგმილი საქმიანობების შესახებ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტით დაგეგმილ ხარჯებში გენდერულ ასპექტში სოციალური დაცვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაში მცირედით, მაგრამ მაინც შეიმჩნევა სოციალური ვექტორის ქალებისაკენ გადახრა, შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროებში უმეტესობა ქალები არიან და

მიწოდებული სერვისიც ქალებისკენ (ოჯახების სოციალური დაცვა, ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება) არის გადახრილი. მაგრამ მიწოდებულ სერვისებს აქვს დროებითი ხასიათი და ერთჯერადია. ამ მიმართულებით სოციალური გარანტიები ქალებისთვის არ არის გრძელვადიანი და არ ასახავს ქალების და, ზოგადად, საზოგადოებრივი სამართლიანობის პრინციპების გრძელვადიან დაცვას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოციალური დაცვის სფეროზე 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 300 500 ლარის დახარჯვა, აქედან 50 000 ლარი განსაზღვრულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე, ხოლო დანარჩენი თანხა ნაწილდება სოციალური დავის ღონისძიებებზე. დიაგრამაში №7 მოცემულია აღნიშნული თანხების გადანაწილება სახეების მიხედვით.

დიაგრამა 2.9

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში სოციალური დაცვის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები



აღნიშნული სოციალური დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებზე მიმართული ხარჯებიდან საზოგადოება თანაბრად სარგებლობს, ამ მიმართულებებში შეიძლება გამოიყოს ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვა, სადაც გათვალისწინებულია ყოველ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება. უნდა ითქვას, რომ ამ

დახმარებებს მხოლოდ ერთჯერადი ხასიათი აქვს და არ განიხილება გრძელვადიან კონტექსტში, მაგალითად, ბავშვის გაჩენის შემდეგ რა პრობლემები შეექმნებათ ქალთა სქესს უფლებების დაცვის კუთხით (ანაზღაურებადი სამუშაოს დაკარგვა, ბავშვის მოვლა-აღზრდისთვის საჭირო დროის გამონახვა და ა.შ.).

სამწუხაროდ, მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს საბიუჯეტო პროგრამების გრძელვადიანი ხედვებით გაწერისა და აღსრულების გეგმები. შესაბამისად, არ ხდება ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირება-აღსრულება და ანგარიშგება გენდერულ ასპექტში, რათა იყოს დაცული გენდერული (სოციალური სამართლიანობის) პრინციპები და ქალთა სქესი უფრო სამართლიანად იყოს წარმოდგენილი გრძელვადიან ხედვებში როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები, რომლებიც თანაბრად ისარგებლებენ (ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე) საზოგადოებრივი პროდუქტის მიწოდებისას დაგეგმილი საბიუჯეტო პროგრამებით.

3 თბილისი

თვითმმართველობების ბიუჯეტების შემოსულობების ანალიზი გენდერულ ჭრილში საკმაოდ რთულია, რადგან გადასახადისა თუ მოსაკრებლის გადამხდელი უმეტეს შემთხვევებში სქესობრივ ჭრილში აღრიცხული არ არის. მოცემულ თავში შევეცდებით გავაანალიზოთ თბილისის ბიუჯეტის შემოსულობების გენდერული ასპექტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტს გააჩნია საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები, მ.შ. ძირითადი განსხვავება განაკვეთის განსაზღვრას და ადმინისტრირებაშია. თუმცა თვითმმართველობა ბოლომდე დამოუკიდებელი არ არის გადასახადების და მოსაკრებლების შემოღებაში და იგი შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს ვერ სცდება.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 66-მუხლის თანახმად „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები.“

ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები და დავადგინოთ თუ რომელ გადასახადში ან მოსაკრებელში გათვალისწინებული შეღავათები; აგრეთვე გავაანალიზოთ თუ რა კავშირიში აქვს ამ განთავისუფლებას გენდერულ ასპექტთან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით ადგილობრივ გადასახადებს მიეკუთვნება მხოლოდ ქონების გადასახადი. ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია მხოლოდ ამ გადასახადის

შემოღება, რაც იყოფა სამ მსხვილ კატეგორიად:

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი;
- მიწაზე ქონების გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებულია ქონების გადასახადისგან განთავისუფლების შემთხვევები. მათი ანალიზის შედეგად დგინდება, რომ გენდერულ ჭრილში არანაირი შეღავათი არ არის გათვალისწინებული. ფიზიკური პირის ქონებაზე შეღავათები ვრცელდება ოჯახის შემოსავლების მიხედვით, რაც ლოგიკურია.

2008 წლის პირველი იანვარიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი, ხოლო საშემოსავლო გადასახადი 12%-დან 25%-მდე გაიზარდა. ამ ცვლილებით ადგილობრივ ბიუჯეტში არასაკუთარი საგადასახადო შემოსავლები უნდა გაორმაგებულიყო, თუმცა 2008 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადი აღარ ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში, იგი 100%-ით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გახდა. არსებობს მოსაზრება, რომ საშემოსავლო გადასახადი თავისი არსით ადგილობრივი გადასახადების ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია ფიზიკური პირი, რომელიც იღებს შემოსავალს. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს რიგ შეღავათებს საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით. შესაძლებელია მათი რანჟირება გენდერულ ასპექტში.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

- პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართლის დედის“ საპატიო წოდება;
- მარტოხელა დედის;
- პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

- პირის, რომელმაც აღსაზრდელად (შვილობილად) აიყვანა ბავშვი.

ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას განეკუთვნება გათანაბრებითი ტრანსფერი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ირიცხება და გააჩნია სპეციალური ფორმულა. ფორმულით გათვალისწინებული ხარჯების გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი სტატისტიკური პარამეტრები: მოსახლეობის რაოდენობა; 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა; 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა; იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე.

გამოთანაბრებითი ტრანსფერის პარამეტრები არ მოიცავს გენდერულ ჭრილში მოსახლეობის რაოდენობის დიფერენცირებას. ეს გასაგებიცაა, რადგან ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გადასახდელები გენდერული თანაფარდობის მიხედვით არ არის გაანალიზებული.

თბილისის ბიუჯეტის დანარჩენი შემოსულობების განხილვა გენდერულ ჭრილში შეუძლებელია, რადგან ისინი დამოკიდებული არიან საქმიანობის სახეობებზე და არა მათი განმახორციელებელი ფიზიკური პირების სქესზე.

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 726,100.0 ათასი ლარით არის პროგნოზირებული, საიდანაც:

- შემოსავლები 692 500.0 ათასი ლარი (95,4%)
- არაფინანსური აქტივების კლება 20 000.0 ათასი ლარი (2,7%)
- ვალდებულების ზრდა 13 600.0 ათასი ლარი (1,9%)

თბილისის ბიუჯეტის შემოსულობების ძირითად ნაწილს წარმოადგენს შემოსავლები, რომლის ფორმირება ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 3.1
2010 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

(ათასი ლარი)



წყარო: თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი

ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში
ადგილობრივი თვითმმართველობების დონზე

საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი არც ისე სახარბიელოა: 1998 წელს ჩატარებული არჩევნებით საკრებულოს წევრთა შორის ქალები 14%-ს შეადგენს. 2002 წლის არჩევნების შედეგად ქალთა რიცხვმა საკრებულოებში კიდევ უფრო იკლო და მხოლოდ 11,9% შეადგინა.

2006 წლის არჩევნების შედეგების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით სიტუაცია არ გამოსწორებულა და ქალთა რაოდენობა საკრებულოში არჩეულ წევრთა შორის კვლავ 12%-ის ფარგლებშია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული საკრებულოს წევრების რაოდენობაში ქალთა წილი მხოლოდ 8,4%-ია, ხოლო პროპორციული სისტემის საფუძველზე - 16,2%.

ქალები თითქმის არ არიან წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პოზიციებზე.

ქალაქ თბილისის საკრებულო შედგება 36 წევრისგან. აქედან მხოლოდ 6 არის ქალი (17%). საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია, რომლის ხელმძღვანელები მამაკაცები არიან. საკრებულოში შექმნილია 1 ფრაქცია, რომლის ხელმძღვანელიც აგრეთვე მამაკაცია.

თბილისის მერიის სტრუქტურაში შემავალი სამსახურების (სულ 12 სამსახური) უფროსებიც მამაკაცები არიან, გარდა სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის სამსახურისა.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ანალიზი გენდერულ ჭრილში

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის გადასახდელების 77% ხარჯებზე მოდის, ხოლო 22% არაფინანსური აქტივების (ყოფილი კაპიტალური ხარჯები) და ფინანსური აქტივების ზრდას ხმარდება. გადასახდელებით ხდება არსებული ვალის გასტუმრებაც.

თბილისის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ცვლილება (მატება) ფუქნციურ ჭრილში

	ათასი ლარი	% მთლიან ასიგნებაში
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	57,625.9	7.9
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	12,250.0	1.7
ეკონომიკური საქმიანობა	157,877.3	21.7
გარემოს დაცვა	64,180.5	8.8
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	220,778.9	30.4
ჯანმრთელობის დაცვა	33,614.2	4.6
დასვენება და კულტურა	22,409.5	3.1
განათლება	45,262.7	6.2
სოციალური დაცვა	111,914.3	15.4
სულ	725,913.3	100.0

წყარო: თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი

როგორც ცხრილიდან ჩანს, თანხის ძირითადი ნაწილი იხარჯება საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე (30,4%); სოციალურ დაცვასა (15,4%) და ეკონომიკურ საქმიანობაზე (21,7%).

თბილისის ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშგების პროცესში გენდერული საკითხების ანალიზი არ ხდება. თვითმმართველობა ხარჯების გაწევის დროს ხელმძღვანელობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 თავით, სადაც განსაზღვრულია მისი უფლებამოსილებები. თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს, ძირითადად, მიეკუთვნება მის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება. სოციალური პრობლემების მოგვარება კი, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა ეს არ გამორიცხავს ადგილობრივი ბიუჯეტით ადგილობრივი სოციალური პროექტების განხორციელებას. თბილისის აღნიშნულ კანონთან ერთად ხელმძღვანელობს „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ კანონით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსება მოიცავს: ბინათმშენებლობას; კომუნალური მეურნეობის განვითარებას; კეთილმოწყობის ღონისძიებებს; კვლევებს და განვითარებას საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე დაფინანსების გავლენის გენდერული თანასწორობის კუთხით ანალიზი შეუძლებელია, რადგან ამ პრობლემის გადაჭრა ერთნაირად ესაჭიროება ქალსა და მამაკაცს.

ეკონომიკური საქმიანობის უმეტეს ნაწილს შეადგენს ტრანსპორტი (მ.შ. გზები), რაზეც 154,016.4 ათასი ლარი იხარჯება. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსების გენდერულ ჭრილში განხილვა მნიშვნელოვან დასკვნებს არ გვაძლევს.

განათლების სფეროს დაფინანსება მოდის თბილისის ბიუჯეტის 6,2%. ამ თანხების უმეტესი ნაწილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (ბაღები) დაფინანსებას ხმარდება. აღსანიშნავია, რომ თბილისის ბიუჯეტით ბაღების დაფინანსება გადავიდა ახალ მეთოდზე, სადაც ხდება სპეციალური ფორმულით ერთ ბავშვზე დაფინანსების გაანგარიშება და ხარჯების „ვაუჩერის“ პრინციპით გაწევა. თბილისის ბიუჯეტის ამ ხარჯის გენდერულ ჭრილში ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჯარო ბაღებში ბავშვების სწავლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება ზრდის დედების ეკონომიკური აქტივობის შესაძლებლობას. ბაღებში

დასაქმებული ადამიანების უმეტესობაც მდედრობითი სქესისაა და ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები მათ დასაქმებას, შესაბამისად, შემოსავლის მატებას ხმარდება. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით აგრეთვე გათვალისწინებულია სკოლისა და საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის ერთჯერადი დახმარება კომუნალური გადასახადების ხარჯების ანაზღაურების კუთხით, კერძოდ, გაიცემა 100 ლარიანი ვაუჩერები.

დასვენებასა და კულტურაზე იხარჯება მთლიანი ბიუჯეტის 3,1%. ეს სფერო მოიცავს: მომსახურება სპორტის სფეროში; მომსახურება კულტურის სფეროში და სხვა არაკლასიფიცირებულ საქმიანობას. ძირითადი დაფინანსება 14 749,5 ათასი ლარი მოდის კულტურის მომსახურებაზე.

კულტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ბიბლიოთეკების და მუზეუმების დაფინანსებაზე მოდის. გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ამ სფეროში უმეტესად მდედრობითი სქესის ადამიანები არიან დასაქმებული, თუმცა საშუალო ხელფასი მაღალი არ არის.

ჯანდაცვის სფეროს განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც გენდერული და სოციალური თანასწორობის მიღწევის, ასევე სიღარიბის შემცირების თვალსაზრისითაც. საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხარჯები, ძირითადად, ოჯახებს დააწვა ტვირთად. ცნობილია, რომ რაც უფრო დაბალია სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვაზე, მით უფრო მაღალია შინამეურნეობების დანახარჯები, კერძოდ, ქალის აუნაზღაურებელი შრომის წილი - ოჯახის წევრების მოვლა-პატრონობაში.

დიაგრამა 3.2

ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება 2008-2010 წლები

(ათასი ლარი)



წყარო: თბილისის 2008-2010 წლების ბიუჯეტები

თვითმმართველობის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები ჯანდაცვაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება. ჯანდაცვის პროგრამების უმეტესობა ერთნაირად ეხება როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს (მაგალითად, სასწრაფო დახმარება).

ამას გარდა ბიუჯეტით გათვალისწინებულია **სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების სკრინინგის პროგრამა**, რაც გაეროს ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება. ამ პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

პროგრამით ხორციელდება სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის სკრინინგი (ქ. თბილისში მცხოვრები 40-70 წლამდე ასაკის ქალების გამოკვლევები, ამბულატორიულ ქირურგიული ოპერაციები). თბილისის ბიუჯეტიდან ამ პროგრამის დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 1,122.0 ათასი ლარი.

დიაგრამა 3.3
სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების წილი მთლიან ბიუჯეტთან

წყარო: თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი

სოციალური სფეროს პრობლემების მოგვარება, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა, თუმცა თბილისის ბიუჯეტის 15% სოციალურ სფეროზე მოდის. ბიუჯეტით გათვალისწინებულია ისეთი სოციალური პროგრამებიც, რომლებიც პირდაპირ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენს (საპენსიო დანამატები).

თბილისის 2010 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამები გენდერულ ჭრილში დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა, თუმცა გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების პროგრამა - 1,750,0 ათასი ლარს შეადგენს. ეს პროგრამა სოციალურად დაუცველ ოჯახებზეა მიმართული და ოჯახის დიასახლისისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დიაგრამა 3.4
პროგრამის დაფინანსება 2008-2010 წლებში

(ათასი ლარი)



წყარო: თბილისის 2008-2010 წლების ბიუჯეტები

პროგრამის მიზანია სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში 70 000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (3 და მეტი ბავშვი) 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა.

განსახორციელებელი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (3 და მეტი ბავშვი) საბანკო ვიზა პლასტიკურ ბარათზე ყოველთვიური ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე (7294 ბავშვი) 20 ლარს შეადგენს.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების - „ახალშობილთა“ პროგრამა - 110,0 ათასი ლარი - ეს პროგრამა სოციალურად დაუცველ ოჯახებზეა მიმართული, თუმცა პირდაპირ კავშირშია შვილის გაჩენასთან და გენდერული პროგრამების რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

დიაგრამა 3.5
პროგრამის დაფინანსება 2008-2010 წლები

(ათასი ლარი)



წყარო: თბილისის 2008-2010 წლების ბიუჯეტები

განსახორციელებელი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა მე-3 ახალშობილზე - 600 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე - 800 ლარის ოდენობით, ყოველ შემდეგ ახალშობილზე თანხა გაიზრდება 200 ლარის ოდენობით.

4 თბილისის, თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მოსახლეობის გამოკითხვა ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერულ საკითხებზე

გამოკითხვა მიზნად ისახავდა ბიუჯეტის მონიტორინგის ქსელში შემავალი სამიზნე თვითმმართველი ერთეულების (თბილისის, თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ოზურგეთის და ჩოხატაურის) მოსახლეობის აზრისა და ინფორმირებულობის დონის კვლევას, როგორც ზოგადად ადგილობრივი ბიუჯეტის, ასევე მასთან დაკავშირებული გენდერული საკითხების შესახებ. გამოკითხვას აწარმოებდა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების სათემო ორგანიზაციები.

გამოკითხვა ჩატარდა 2010 წლის თებერვალში და მარტში. სულ გამოიკითხა 700 ოჯახი (ადამიანი), შერჩევა წინასწარ განსაზღვრული ბიჯებით გაკეთდა და უბნების მიხედვით განსხვავდებოდა, ფარდობითობის დაცვის მიზნით. ასევე წინასწარ, ბიჯებთან ერთად იყო განსაზღვრული სქესის და ასაკობრივი ბალანსიც.

კითხვარი შედგებოდა 11 კითხვისგან და ე.წ. დემოგრაფიული ნაწილისგან, რაც მიზნად ისახავდა რესპონდენტის შესახებ ინფორმაციის მოძიებას (სქესი, ასაკი).

გამოკითხვის შედეგები

დემოგრაფიული ბლოკი

რესპონდენტთა ასაკი მერყეობდა 18-დან 83 წლამდე. რაც ჯამში 3 ასაკობრივ ჯგუფად დალაგდა. გამოკითხულთა შორის იყო 206 კაცი და 494 ქალი.

ასაკი	რაოდენობა	%
18-35 წელი	222	31,7
36-55 წელი	280	40
55-ზე მეტი	198	28,3
სულ	700	100

დიაგრამა №4.1
გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოხმარდეს ადგილობრივი ბიუჯეტი?



შეკითხვაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ სამიზნე თვითმმართველ ერთეულებში მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის დადგენას, გამოკითხულთა მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ გააჩნია სრული ინფორმაცია. 29% თვლის, რომ მას გააჩნია გარკვეული მწირი ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ, ხოლო გამოკითხულთა ნახევარზე მეტი — 59% აცხადებს, რომ მას ინფორმაცია არ გააჩნია.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ ინფორმირებულობის ასეთი დაბალი დონე საკმაოდ მძიმე სურათს გვიჩვენებს, რომლის მიხედვითაც თვითმმართველობებში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ან არ ფლობს ინფორმაციას შესაბამისი ბიუჯეტების და მათი მეშვეობით განსაზღვრული პრიორიტეტების შესახებ, ან გააჩნია მხოლოდ მწირი ინფორმაცია. არსებული შედეგები ნათლად წარმოაჩენს ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის ზრდის კუთხით ძალისხმევის გაძლიერებისა და მათი ინფორმირებულობის გაზრდაზე მიმართული ქმედებების გაუმჯობესების აუცილებლობას.

ინფორმირებულობის ასეთი დაბალი მაჩვენებლის პირობებში საკმაოდ რთულია იმის მტკიცება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი სრუ-

ლად ითვალისწინებს მოსახლეობის წინაშე არსებულ პრობლემებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით პასუხები დასმულ შეკითხვაზე შემდეგნაირად გადანაწილდა:

	18-35 წელი	36-55 წელი	55+ მეტი
მაქვს სრული ინფორმაცია	11.0%	12.5%	14.2%
მაქვს მწირი ინფორმაცია	27.6%	30.0%	28.3%
ინფორმაცია არ მაქვს	61.4%	57.5%	57.5%

ცხრილზე მოყვანილი პროცენტული განაწილების მიხედვით ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეიმჩნევა, თუმცა ასაკის ზრდასთან ერთად მცირედ იზრდება იმ ხალხის რაოდენობა, რომლებსაც გააჩნიათ სრული ინფორმაცია და მცირდება იმ გამოკითხულთა ოდენობა, რომლებსაც ინფორმაცია არ აქვთ.

დიაგრამა №4.2
თქვენი აზრით, რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტი?



კითხვარის მეორე შეკითხვა უკავშირდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვის მიზანმიმართულობას. შეკითხვაზე პასუხის გაცემით გამოკითხულები აფიქსირებდნენ საკუთარ შეხედულებას ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვის ეფექტიანობაზე. შეთავაზებული იყო პასუხის ოთხი შესაძლო ვარიანტი. გამოკითხულთა 39%-მა დააფიქსირა, რომ მას უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. როგორც წინა კითხვისას, რესპოდენტების რაოდენობა, რომლებსაც გაუჭირდათ შეფასების

გაკეთება (სავარაუდოდ შესაბამისი ინფორმაციის არ ქონის გამო), საკმაოდ დიდია. გამოკითხულთა 22%-მა განაცხადა, რომ სახსრები ადგილობრივი ბიუჯეტიდან არამიზანმიმართულად იხარჯება, ხოლო 30% კი თვლის, რომ სახსრები მეტ-ნაკლებად მიზანმიმართულად იხარჯება. რესპოდენტთა მხოლოდ 9%-მა დააფიქსირა მოსაზრება, რომ სახსრების ხარჯვა სავსებით მიზანმიმართულად ხორციელდება.

მეორე კითხვის შედეგებით მიღებული სურათი ამყარებს იმ არასასურველი ტენდენციების შეგრძნებას, რაც პირველი კითხვის შედეგებით იქნა დაფიქსირებული. ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვის არსებულ მიდგომებს გამოკითხულთა მხოლოდ მცირე პროცენტი ეთანხმება, ხოლო რესპოდენტთა გაცილებით დიდ ჯგუფს ან არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია, ან არ ეთანხმება სახსრების ამგვარად განკარგვას.

დიაგრამა №4.3

გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რა სოციალური ტიპის ხარჯებს ითვალისწინებს თქვენი ადგილობრივი ბიუჯეტი?



კითხვარის მესამე შეკითხვა უკავშირდებოდა ბიუჯეტიდან გაწეული სოციალური ტიპის ხარჯების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის შეფასებას. ისევე, როგორც წინა კითხვაში ამ შემთხვევაშიც შეთავაზებული იყო პასუხის ოთხი შესაძლო ვარიანტი. მიღებული შედეგების მიხედვით გამოკითხულთა სამი მეოთხედი სათანადო ინფორმაციას ვერ ფლობს (52%-მა განაცხადა, რომ ინფორმაცია არ გააჩნია, ხოლო 23%-მა კი მიუთითა მხოლოდ მწირი ინფორმაციის ქონაზე). გამოკითხულთა 17% აფიქსირებს, რომ მას გააჩნია გარკვეული ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური ტიპის ხარჯების შესახებ და მხოლოდ 8% აფიქსირებს, რომ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას აღნიშნული ტიპის საბიუჯეტო ხარჯებზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი საკმაოდ მძიმეა, მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ამ მიმართულებით განსაზღვრული ხარჯები უნდა იყოს, შესაბამისად, ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი სათანადო ინფორმაციას არ ფლობს, მძიმე სურათზე მიგვანიშნებს.

არსებულ პირობებში, როდესაც გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა დააფიქსირა - ინფორმაციას სოციალური კუთხით განსაზღვრულ სახსრებზე არ ფლობს - საკმაოდ რთულია წარმოვიდგინოთ ეფექტიანობის მაღალი დონე. სათანადო ინფორმაციის არ ქონის შემთხვევაში დიდია რისკი, რომ მოსახლეობის ნაწილი ვერ ისარგებლებს ბიუჯეტით განსაზღვრული შესაბამისი სახსრებით.

დიაგრამა №4.4
გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რა არის გენდერული ბიუჯეტი?



რიგით მეოთხე კითხვა ეხებოდა გენდერულ ბიუჯეტს და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეს ამ კუთხით. გამოკითხულთა თითქმის სამი მეოთხედი (74%) აფიქსირებს - გენდერული ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. 19% აცხადებს, რომ გააჩნია მწირი ინფორმაცია და მხოლოდ 7%-ის მტკიცებით მათ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია გენდერული ბიუჯეტის შესახებ.

გენდერული ბიუჯეტის შესახებ გაცემული პასუხები რესპოდენტთა სქესის მიხედვით მოყვანილია ცხრილში:

	კაცი	ქალი
მაქვს სრული ინფორმაცია	8.5%	6.4%
მაქვს მწირი ინფორმაცია	20.3%	19.1%
ინფორმაცია არ მაქვს	71.2%	74.5%

ზემოაღნიშნული კითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ გენდერული ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე მოსახლეობის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს გააჩნია. ამ პირობებში ცალსახად აუცილებელია ამ კუთხით ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა, რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს შეაფასოს შესაბამისი ბიუჯეტები ამ ჭრილში.

დიაგრამა №4.5

თქვენი აზრით, რამდენად თანაბრად ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტი კაცებისა და ქალების პრიორიტეტებს?



შემდეგი კითხვა ეხებოდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შეფასებას ქალებისა და კაცების წინაშე არსებული პრიორიტეტების მიხედვით. გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა ანუ 45%-მა დააფიქსირა, რომ მას უჭირს პასუხის გაცემა დასმულ შეკითხვაზე. გამოკითხულთა 12%-მა განაცხადა, რომ ბიუჯეტი არათანაბრად ითვალისწინებს ქალებისა და კაცების პრიორიტეტებს, ხოლო 19%-ს მიაჩნია, რომ პრიორიტეტები მეტ-ნაკლებად თანაბრადაა გათვალისწინებული. რესპოდენტთა თითქმის მეოთხედმა (24%) განაცხადა, რომ ხარჯები ზემოაღნიშნულ პრიორიტეტებს თანაბრად ითვალისწინებს.

თუ აღნიშნულ კითხვაზე მიღებულ პასუხებს რესპოდენტთა სქესის მიხედვით გავაანალიზებთ მივიღებთ შემდეგ სურათს:

	კაცი	ქალი
თანაბრად	30.5	21.3
მეტ-ნაკლებად თანაბრად	14.4	20.9
არათანაბრად	12.7	11.3
მიჭირს პასუხის გაცემა	42.4	46.5

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ ინ-ფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია (რაც წინა კითხვებზე მიღებული პასუხების შედეგებით დასტურდება), გამოკითხულთა შე-დარებით დიდმა რაოდენობამ ჩათვალა, რომ მათი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი თანაბრად ითვალისწინებს ქალებისა და კაცების პრიორიტეტებს. თუ დავუმატებთ იმ რესპოდენტებსაც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პრიორიტეტები მეტ-ნაკლებად თანაბრადაა გათ-ვალისწინებული, ჯამში, 43% მიიჩნევს, რომ პრიორიტეტებს უფრო თანაბრად ითვალისწინებენ, ვიდრე არათანაბრად.

დიაგრამა №4.6

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ დედებისა და ქალებისათვის დახმარების გაწევის შესახებ?



მეექვსე კითხვა შეეხებოდა დედებისა და ქალებისათვის განსაზ-ღვრული დახმარებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეს. პასუხის სამი შესაძლო ვარიანტიდან ყველაზე მეტმა რესპო-დენტმა, ანუ 52%-მა დააფიქსირა, რომ ზემოაღნიშნული კუთხით გამოყოფილი დახმარებების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. რე-სპოდენტთა 37%-მა განაცხადა, რომ ფლობს გარკვეულ მწირ ინ-ფორმაციას, ხოლო 11%-მა კი დააფიქსირა, რომ გააჩნია სრული ინ-ფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ.

აღნიშნულ კითხვაზე მიღებული შედეგები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, როგორც ზოგადად საბიუჯეტო საკითხების მხრივ, ასევე ქალებისა და დედების პრიორიტეტების კუთხით, საკმაოდ დაბალია. არსებული ვითარება არასახარბიელო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, ვინაიდან დახმარებები, რომელთა შესახებაც გამოკითხულთა ნახევარზე მეტს არ სმენია, სათანადო დონეზე ეფექტიანი უბრალოდ ვერ იქნება.

დიაგრამა №4.7

თქვენი აზრით, არის თუ არა ბიუჯეტში ნათლად გამოყოფილი დედების, ქალთა და სხვა ფენების პრობლემები?



კითხვარის რიგით მეშვიდე კითხვა მიზნად ისახავდა მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევას იმის თაობაზე, თუ რამდენად ნათლად არის ადგილობრივ ბიუჯეტებში განსაზღვრული დედების, ქალების და სხვა ფენების პრობლემები. ისევე როგორც წინა კითხვების დროს ამ შემთხვევაშიც საკმაოდ დიდი იყო იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომლებსაც გაუჭირდათ პასუხის გაცემა. მთლიანობაში გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგები მოსახლეობის ინფორმირებულობის საკმაოდ დაბალ დონეს აჩვენებს, საბიუჯეტო საკითხების კუთხით.

იმ მოსაზრების მომხრე, რომ ზემოაღნიშნული ტიპის ხარჯები ბიუჯეტებში მეტ-ნაკლებად გამოყოფილია რესპოდენტთა 25% აღმოჩნდა, ხოლო 22%-მა დააფიქსირა, რომ მათი აზრით მსგავსი ტიპის პრობლემები ადგილობრივ ბიუჯეტებში ნათლად გამოყოფილი არ არის. გამოკითხულთა მხოლოდ 9%-მა დააფიქსირა პასუხი, რომლის მიხედვითაც ასეთი პრობლემები ნათლად იდენტიფიცირებულია.

ქვეყანაში არსებული პრობლემებიდან არსებული სიღარიბის დონე ერთ-ერთი უმწვავესი საკითხების რიცხვს განეკუთვნება და მიზანმიმართული სახსრების ხარჯვის გარეშე ამ პრობლემის მოგვარება

წარმოუდგენელია. არსებული გამოკითხვისას მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ან არ ფლობს ინ-ფორმაციას მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, ან თვლის რომ მსგავ-სი პრიორიტეტები ნათლად არ არის ჩამოყალიბებული საბიუჯეტო დონეზე.

დიაგრამა №4.8

თქვენი აზრით, რამდენად არის გათვალისწინებული ბიუჯეტში დასაქმების წახალისების შესაძლებლობები ქალებისათვის?



შეკითხვაზე, რომელიც ბიუჯეტში ქალებისათვის დასაქმების წახალისების შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ხედვის შე-ფასებას ისახავდა მიზნად, ოთხი შესაძლო პასუხი დაფიქსირდა. სამ-წუხაროდ, როგორც წინა კითხვების შემთხვევაში, ამ შეკითხვაზეც საკმაოდ ბევრმა რესპოდენტმა დააფიქსირა, რომ პასუხის გაცემა უჭირს, მსგავსი პასუხი გასცა გამოკითხულთა 45%-მა.

გამოკითხულთა მესამედმა ანუ 33%-მა დააფიქსირა პასუხი, რომ-ლის მიხედვითაც ბიუჯეტებში მსგავსი წახალისების შესაძლებლო-ბები გათვალისწინებული არ არის. რესპოდენტების 18% თვლის, რომ მსგავსი შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია, ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი კი (4%) თვლის, რომ აღნიშნული საკითხები ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

სამწუხაროდ, ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორსაც დასაქმების ხელის შემწყობი შესაძლებლობების დაფინანსებაა, გამოკ-ითხულთა უმეტესობა ბიუჯეტის ძალისხმევას არასაკმარისს მიიჩნევს. იმ გამოკითხულთა რაოდენობა, რომლებსაც ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ დადებითი შეფასება აქვს საკმაოდ დაბალია და მხოლოდ 4%-ს შეადგენს.

დიაგრამა №4.9
თქვენი აზრით, რამდენად არის გათვალისწინებული ბიუჯეტში განათლების წახალისების შესაძლებლობები ქალებისათვის?



კითხვარის შემდეგი კითხვა შეეხებოდა განათლების წახალისების შესაძლებლობებს, რომლებიც გათვალისწინებულია ბიუჯეტებში. როგორც წინა კითხვის შემთხვევაში, გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა დააფიქსირა, რომ მას უძნელდება პასუხის გაცემა დასმულ კითხვაზე. რესპოდენტთა დაახლოებით მეოთხედი ანუ 26% მიიჩნევს, რომ განათლების წახალისების შესაძლებლობები ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, ხოლო 20% მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხები მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია. გამოკითხული მოსახლეობიდან მხოლოდ 5%-მა განაცხადა, რომ განათლების წახალისება ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ სოციალური ფონის გაუმჯობესებას, პირველ რიგში, დასაქმებაზე და განათლებაზე მიზანმიმართული პროგრამების დაფინანსება უნდა უწყობდეს ხელს. არსებული ვითარება გამოკითხული მოსახლეობის შეფასების მიხედვით დამაკმაყოფილებელი ნამდვილად არ არის. ისევ და ისევ მოსახლეობის დიდი ნაწილი ან არ არის ინფორმირებული მსგავს ინიციატივებზე, ან თვლის რომ ამგვარი მიმართულებები არ ფინანსდება.

დიაგრამა №4.10
თქვენი აზრით, რამდენად უწყობს ხელს თქვენი ადგილობრივი ბიუჯეტის არსებული ხარჯები სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას გრძელვადიან პერსპექტივაში?



შეკითხვაზე, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ხარჯების მეშვეობით გრძელვადიან პერსპექტივაში არსებული სოციალური ფონის გამოსწორების შესაძლებლობების შეფასებას ისახავდა მიზნად, გამოკითხულთა პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად განაწილდა: ყველაზე დიდი ხვედრითი წილი — 42% დაფიქსირდა პასუხის ვარიანტზე „მიჭირს პასუხის გაცემა“, ხოლო 22%-მა მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ არსებული ხარჯები დასახულ ამოცანას ხელს არ უწყობს. გამოკითხულთა 25% მიიჩნევს, რომ არსებული ხარჯების სტრუქტურა მეტ-ნაკლებად ხელს უწყობს სოციალური ფონის გაუმჯობესებას გრძელვადიან პერსპექტივაში, ხოლო 11% კი მიიჩნევს, რომ არსებული საბიუჯეტო ხარჯების პირობებში შესაძლებელია გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური მდგომარეობის უკეთესობისაკენ შეცვლა.

საინტერესო ფაქტია, რომ გამოკითხულთა დაახლოებით მეათედი თვლის არსებულ ხარჯებს სწორად სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე. ასევე უნდა აღინიშნოს იმ ადამიანების სტაბილურად დიდი რაოდენობა, რომლებსაც უჭირთ უპასუხონ დასმულ შეკითხვას.

დიაგრამა 4.11
თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ქალებისა და კაცების პრობლემატიკის თანაბარ დონეზე გათვალისწინება ბიუჯეტის შედგენისას?



კითხვარის საბოლოო შეკითხვა შეეხებოდა ქალებისა და კაცების პრობლემატიკის მნიშვნელობის გათვალისწინების მნიშვნელობას ბიუჯეტის შედგენისას. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა — 52%-მა დააფიქსირა პასუხი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულის მიდგომის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო 17% კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა გამოკითხულთა 25%-ს, ხოლო 6%-მა განაცხადა, რომ გენდერული კუთხით პრობ-ლემატიკის გათვალისწინება ბიუჯეტის შედგენისას მნიშვნელოვანი არ არის.

დაფიქსირებული პასუხების მიხედვით გამოკითხულთა უმეტესობამ მნიშვნელოვნად მიიჩნია კაცებისა და ქალების პრობლემატიკის განსაზღვრა და გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვისას.

გაცემული პასუხები რესპოდენტთა სქესის მიხედვით მოყვანილია ცხრილში:

	კაცი	ქალი
ძალიან მნიშვნელოვანია	48.3%	53.5%
მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია	23.7%	14.5%
არ არის მნიშვნელოვანი	6.8%	5.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	21.2%	26.6%

დასკვნა

გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ:

- სამიზნე თვითმმართველი ერთეულების მოსახლეობის ინ-ფორმირებულობის დონე ადგილობრივ ბიუჯეტთან დაკავშირე-ბული საკითხების მხრივ ძალიან დაბალია;
- გამოკითხულთა საკმაოდ დიდ რაოდენობას ან არ გააჩნია ინფორ-მაცია ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების მიზანმიმართულობაზე, ან უარყოფითად აფასებს არსებულ მიდგომებს;
- გამოკითხულთა ნახევარზე მეტს არ გააჩნია ინფორმაცია ად-გილობრივი ბიუჯეტით სოციალური კუთხით გათვალისწინებულ ხარჯებზე;
- გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს არ გააჩნია დაზუსტებული ინ-ფორმაცია იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს გენდერული ბიუჯეტი;
- გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ადგილ-ობრივი ბიუჯეტით განსაზღვრულ ღონისძიებებზე, რამაც უნდა წაახალისოს ქალთა შესაძლებლობები დასაქმების ან განათლების კუთხით;
- გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე თუ რამდენად უწყობს ხელს ადგილობრივი ბიუჯეტის არსებული ხარჯები სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას გრძელვა-დიან პერსპექტივაში;
- რესპოდენტთა ნახევარზე მეტი ძალზედ მნიშვნელოვნად მიიჩნევს ქალებისა და კაცების პრობლემატიკის თანაბარ დონეზე გათვალ-ისწინებას ბიუჯეტის შედგენისას.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ამ პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, არც დაგეგმვის და არც ბიუჯეტის პროექტის მომზადების და წარდგენის ეტაპებზე, გენდერულ ასპექტებზე ყურადღება არ მახვილდება. ამგვარი მიდგომა კი ნამდვილად არ უწყობს ხელს ბიუჯეტის გამოთანაბრებას გენდერულ ჭრილში.

- ადგილებზე, მუნიციპალიტეტებში არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო ბანკი, სტატისტიკური მონაცემები და ინფორმაცია სახელმწიფო სექტორში, სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ ერთეულებში დასაქმებულთა შესახებ, კერძოდ, თანამდებობებზე რა კვალიფიკაციის მქონა და რა ანაზღაურებით არიან დასაქმებული ქალები და მამაკაცები. მსგავსი სახის ინფორმაცია საჭიროა, რომ სავალდებულო გახდეს თითოეული დაწესებულებისთვის. ასევე აისახოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, რომ გამოვლინდეს რამდენად თანასწორია ქალისა და კაცის დასაქმება და ანაზღაურება სახელმწიფო სექტორში.

- ადგილობრივი ხელისუფლება უნდა ქმნიდეს მონაცემთა ბაზას, სადაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მოძიება მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის, უმუშევართა კვალიფიკაციის, განათლებისა და სხვათა შესახებ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ტრენინგების ორგანიზაციას მცირე ბიზნესში და რესურსული ცენტრების შექმნას.

- პრაქტიკულად, დღეს საქართველოში დემოგრაფიული საკითხები სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იგნორირებულია. არ არსებობს გენდერული პროგრამები, სადაც ოჯახების დაგეგმვა იქნება პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი.

- მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური ხარჯები ნაკლებად ეფექტიანია, ვინაიდან არ არის მორგებული რეალურ საჭიროებებს. არ არის გათვალისწინებული მათი ანალიზი არც ღარიბ ფენებზე მიღებული შედეგებისა და არც გენდერული ჭრილით. ამ დროს მსგავსი ტიპის ხარჯებმა უნდა უზრუნველყოს ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორებიცაა: ქალების, ბავშვების და სხვა შედარებით მგრძნობიარე ჯგუფების ინტერესები. აღსანიშნავია, რომ არსებული რთული დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა სწორედ ზემოაღნიშნული თანხების სწორად გახარჯვაა.

- დაუშვებელია უმუშევართა დახმარების პროგრამების იგნორირება, განსაკუთრებით იმ გარემოში, როცა საქართველოს შრომის კოდექსი დამქირავებელს არ ავალდებულებს გადაუხადოს კომპენსაცია დაქირავებულს მისი განთავისუფლების შემთხვევაში. სახელმწიფომ და მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს მსგავსი პრობლემების წინაშე მყოფი საზოგადოების წარმომადგენლებზე, რათა მოახდინოს მათი გადამზადება და ანაზღაურებად შრომის ბაზარზე კვლავ წარდგენა.